

სესხის გაცემა ხდება გენერალური ხელშეკრულების 100 000 ლარიანი ლიმიტის ფარგლებში, რომელიც მოქმედია 15 წლის ვადით. გათხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი თავდებობა/ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე.

სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება #

ქ. თბილისი

2022 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. გამსესხებელი/კრედიტორი/იპოთეკარი (სახელწოდება):	სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (შემდგომში მისო ან კრედიტორი)
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N68, სართული 1, საოფისე ფართი #2.
წარმომადგენელი:	
ტელეფონი:	032 2-50-50-02
ელ.ფოსტა:	info@mbc.com.ge
საიდენტიფიკაციო კოდი:	404967078
საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2
ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ნომერი:	740413

1.2. თავდები: -----, დაბ. -----, რეგისტრაციის ადგილი -----, თავდების განცხადებით მცხოვრები: -----, პირადი ნომერი -----, პასპ/პირად.მოწმობის N-----, პასპ/პირად.მოწმობა გაცემულია ----- მიერ ----- წელს, (მოქმედების ვადა -----), ტელეფონი -----, ელ.ფოსტა -----.

1.3. სესხის მოცულობა და არსებითი პირობები

1.3.1. თავდებობით უზრუნველყოფილი გენერალური ხელშეკრულების თარიღი და ნომერი:	
1.3.2. მოვალე/მსესხებელი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი / დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი):	
1.3.3. გაცემული კრედიტების მაქსიმალური ჯამური ოდენობა (ლიმიტი):	100 000 ლარი
1.3.4. კრედიტების ვალუტა:	ლარი
1.3.5. კრედიტების მაქსიმალური ვადა:	180 თვე
1.3.6. მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი:	ეფექტური 50%

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს მოვალეს მისოს წინაშე და შეასრულოს კრედიტორსა და მოვალეს შორის 1.3. მუხლში აღნიშნული გენერალური ხელშეკრულებით (ძირითადი ხელშეკრულებით) და მის საფუძველზე და ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თავდები სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფს მისოსა და მოვალეს შორის გაფორმებული

მისო /-----/

თავდები /-----/

გენერალური ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაფორმებული ან/და მომავალში დადებული საკრედიტო (სესხის), საკრედიტო ბარათის, დერივატივის ხელშეკრულებებით, ასვე ხსენებული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში და მის საფუძველზე დადებული ან და მომავალში დადებული ნებისმიერი სხვა შემადგენელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, სესხის (მათ შორის ასევე ოვერდრაფტის სახით გაცემული სესხის) ძირითადი თანხისა და დარიცხული სარგებლის, მოვალის მიერ გადახდას, აგრეთვე გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ან/და მომავალში დადებული ნებისმიერი შემადგენელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ვალდებულებას, საკომისიოს, ასევე ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს (ჯარიმის) გადახდას, ვალდებულებათა შეუსრულებლობით (დარღვევით) გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

მუხლი 3. თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ

3.1. თავდები სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით არის პასუხისმგებელი ძირითადი ხელშეკრულების ან მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოვალის მიმართ წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებაზე.

მუხლი 4. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები

4.1. თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა და თავდებობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100,000.00 (ასე ათასი) ლარს - ფულადი ვალდებულების (მათ შორის სესხის) ძირითადი თანხის სახით და მასზე 2.1. პუნქტის შესაბამისად დარიცხულ პროცენტს, პირგასამტეხლოს (ჯარიმას) და საკომისიოს, ასევე სასამართლო, საარბიტრაჟო და აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

მუხლი 5. მისოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება

5.1. მოვალისმიერ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში დადებული საკრედიტო (სესხის), საკრედიტო ბარათის, დერივატივის ხელშეკრულებებით, ასვე ხსენებული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში და მის საფუძველზე დადებული ან და მომავალში დადებული ნებისმიერი სხვა შემადგენელი ხელშეკრულებებით განსაზღვრული კრედიტის ძირითადი თანხისა (მათ შორის ასევე ოვერდრაფტის სახით გაცემული სესხის) და მასზე დარიცხული პროცენტების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობის (სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევა, ასევე მისოსა და მოვალეს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოვერდრაფტის თანხის და მასზე დარიცხული სარგებლის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობა ან ხელშეკრულების სხვა პირობის დარღვევა) ან/და გენერალური ხელშეკრულების შემადგენელი ხელშეკრულებებით განსაზღვრული საკომისიოს, პირგასამტეხლოს, სხვა ფულადი ვალდებულებების, ასევე სასამართლო, საარბიტრაჟო, საადვოკატო ხარჯების, და აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დადგენილ ვადებში გადაუხდელობის, ასევე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისოს უფლება აქვს თავდებს წაუყენოს მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

5.2. 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მისო შეტყობინებით მიმართავს თავდებს და აცნობებს ვადადამდგარი დავალიანების წარმოშობის, მისი ოდენობისა და მისოს მოთხოვნების შესრულების თარიღის შესახებ.

5.3. თავდები, მისოდან მიღებული შეტყობინებიდან 14 დღის ვადაში, ვალდებულია უზრუნველყოს მისოს მიმართ არსებული დავალიანების სრული მოცულობის დაკმაყოფილება.

5.4. თუ თავდები არ დაკმაყოფილებს მისოს მოთხოვნას, მას ასევე დაეკისრება დამატებითი ხარჯების გადახდის ვალდებულება, რაც გამოწვეული იქნება იძულებითი აღსრულების მოქმედებებით (ადვოკატის ჰონორარი, სასამართლო და სააღსრულებო ხარჯები), რადგანაც იგი ვალდებული იყო და ჰქონდა შესაძლებლობა მისოს დაკმაყოფილებით აცილებინა დამატებითი ხარჯები.

მუხლი 6. დასტური, განცხადებები და გარანტიები

6.1. თავდები ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და იქ განსაზღვრული პირობები, რის საფუძველზეც სრულად აცნობიერებს მის ვალდებულებას მისოს წინაშე, ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია თავდების ნებაყოფლობით, მოვალის, ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე.

6.2. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ შეაგროვებს/დაამუშავებს თავდების შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

6.3. თავდების თანხმობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.“

თავდების მინდობილი პირის თანხმობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვის თაობაზე:

„თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაკრედიტებისა და სესხის მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი ან/და ჩემი მარწმუნებლის პერსონალური მონაცემები.“

6.4. მისო უფლებამოსილია, თავდების თანხმობისა და მისთვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს (მოთხოვნის უფლების დათმობა).

6.5. თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო საბაზრო და ეკონომიკური ვითარება, ან გამოიცემა ნორმატიული აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის შეცვლის შემთხვევაში, მისო უფლებამოსილია გაზარდოს ამ ხელშეკრულებით ან/და ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული სხვა შეთანხმებით (ხელშეკრულება, გადახდის გრაფიკი, ხელშეკრულების დანართი და სხვა) განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. აღნიშნულის შესახებ მისო წერილობით ატყობინებს მოვალეს/თავდებს. მოვალე/თავდები უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი (ძირითადი თანხა, დარიცხული პროცენტი, საკომისიოები და პირგასამტეხლო), რა შემთხვევაშიც მას არ დაერიცხება გაზრდილი საპროცენტო სარგებელი, ასევე სესხის წინსწრებით დაფარვისა ან/და რეფინანსირების საკომისიო. თუ მოვალე/თავდები არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა განხორციელდება ზემოაღნიშნული შეტყობინების ჩაბარებიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

6.6. მისო უფლებამოსილია შეცვალოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საკომისიოების ოდენობა ან/და დაუწესოს თავდებს/მოვალეს სხვა ტიპის საკომისიო, ასევე შეცვალოს სესხის გაცემისა და დაბრუნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცესი და პირობები, თუ შეიცვალა მარეგულირებელი, ზედამხედველი, მარეგისტრირებელი, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დადგენილი წესები, ან მისოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პარტნიორებისა და კონტრაგენტების (ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები, საგადახდო სისტემების სუბიექტები და სხვა) მხრიდან დაწესებული კომერციული პირობები. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მისო წერილობით ატყობინებს მოვალეს/თავდებს. მოვალეთავდები უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში სრულად დაფაროს სესხი (ძირითადი თან/ხა, დარიცხული პროცენტი, საკომისიოები და პირგასამტეხლო), რა შემთხვევაშიც მას არ დაერიცხება სესხის წინსწრებით დაფარვისა ან/და რეფინანსირების საკომისიო. თუ მოვალე/თავდები არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობები ამოქმედდება ზემოაღნიშნული შეტყობინების ჩაბარებიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

6.7. 6.5. და 6.6. პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებები არ შეიძლება შეეხოს პროდუქტის ვალუტას, არ შეიძლება იყოს განპირობებული მისოს მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის არასწორი შეფასებით (როდესაც აღნიშნულის მიზეზი არ არის მსესხებლის მიერ განზრახ არასწორი და არასრული მონაცემების მიწოდება) და ასევე არ უნდა იყოს გამოწვეული ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების 5 პროცენტულ პუნქტზე ნაკლები ცვლილებით.

6.8. თუ კრედიტზე (სესხზე), მათ შორის ორმხრივი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, იცვლება შენატანის ოდენობა, მისო ვალდებულია ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე (მოკლე ტექსტური

შეტყობინების სახით) ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე, მსესხებელს (ხელშეკრულების ფარგლებში რამდენიმე მსესხებლის/თანამსესხებლის არსებობის შემთხვევაში – ყველა მათგანს) ასევე, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ცვლილებამდე ხუთი სამუშაო დღით ადრე. ასევე, მსესხებლის (რამდენიმე მსესხებლის არსებობის შემთხვევაში ყოველი მათგანის) მიერ ცვლილების განხორციელების მომენტში შეცვლილ პირობებზე დათანხმების შემთხვევაში, თავდებს და/ან სოლიდარულ თავდებს და/ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეს (არსებობის შემთხვევაში) შეატყობინოს შენატანის შეცვლილი ოდენობისა და შეცვლილი პირობების შესახებ ცვლილების შემდეგ არაუგვიანეს ხუთ სამუშაო დღეში. მისო არ აგებს პასუხს ამ ვალდებულების დარღვევისათვის, თუ დაკავშირება/ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია მისოსათვის.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და უთანხმოებათა გადაწყვეტის წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მისოსა და მოვალეს შორის საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესაბამისად, მხარეებს შორის ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

7.3. მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მისოს იურიდიული მისამართი, ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ადგილი.

7.4. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეცეს მუქმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განხილველ ცენტრს“ DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71,სართ.2, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE. ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟი დავას განიხილავს ზეპირი მოქმენის გარეშე, მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის (დავის საგნის) ღირებულებისა.

მხარეები ასევე ვთანხმდებიან, რომ მხარეებს შორის, ასევე საარბიტრაჟო დაწესებულებას დავების განხილველი ცენტრს ს/კ 204547348 შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით. ამ შემთხვევაში შეტყობინება განხორციელდება ჩაითვლება, თუ იგი მხარეს ჩაბარდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ-ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ.

7.5. თავდებს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე <http://www.mbc.com.ge/> და ელ.ფოსტაზე complaint@mbc.com.ge. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით ნომერზე 2505002, ან უშუალოდ მისოს შესაბამის სერვის ცენტრში. თავდებისაგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

მუხლი 8. შეტყობინების წესი

8.1. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განხორციელონ ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა კონტრაგენტის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების შესაძლებლობას.

8.2. შეტყობინება (გაფრთხილება, კორექსიონდენცია, გზავნილი) ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი გაგზავნილია ერთ-ერთი ჩამოთვლილი საშუალებით: დაზღვეული (საფოსტო) წერილით, კურიერის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, სოციალური ქსელების მეშვეობით ან ელ. ფოსტის მეშვეობით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საკონტაქტო მისამართებზე (მობილური, ელ. ფოსტა), ან თავდების მიერ ჩაბარებულია (მიღებულია) ხელზე უშუალოდ, ან/და გადაცემულია მისი ოჯახის წევრისთვის. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას. ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნიდან მეორე დღეს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ადრესატისაგან შეტყობინების მიღების დასტური ან პასუხი;

8.3. მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ, ასეთი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში შეტყობინება მიღებულად ითვლება მხარისათვის ცნობილ უკანასკნელ საკონტაქტო მისამართზე შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაშიც.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილი იქნება მხარეების მიერ.

მუხლი 10. მხარეთა ხელმოწერები:

ხელშეკრულებას გავეცანით, მისი პირობები გასაგებია სრულად და ვეთანხმებით:

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით განხორციელებულ თავდებობასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ მსესხებელმა სრულად არ დაფარა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ ამა თუ იმ ფორმით

თანხის განთავსებას, გთხოვთ გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

წერილობითი განცხადება სოლიდარული თავდებობის შესახებ #

საქართველო, ქ. _____, 20 _____ წლის _____.

წინამდებარე სოლიდარული თავდებობის წერილობითი განცხადებით, მე თავდები:

1.1. თავდები: -----, დაბ. -----, რეგისტრაციის ადგილი -----, თავდების განცხადებით მცხოვრები: -----, პირადი ნომერი -----, პასპ/პირად.მოწმობის N-----, პასპ/პირად.მოწმობა გაცემულია ----- მიერ ----- წელს, (მოქმედების ვადა -----), ტელეფონი -----, ელ.ფოსტა -----.

სოლიდარულ თავდებად ვუდგები, ძირითად მოვალეს, იგივე მსესხებელს:

1.2. მსესხებელი:

მისამართი:

პირადი ნომერი:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“-ს წინაშე ძირითადი მოვალის მიერ შესასრულებელ ვალდებულებას, რაც წარმოშობილია:

1.3. თავდებობით უზრუნველყოფილი გენერალური ხელშეკრულება (თარიღი და ნომერი)	
1.4. გაცემული კრედიტების მაქსიმალური ჯამური ოდენობა (ლიმიტი):	100 000 ლარი
1.5. კრედიტების მაქსიმალური ვადა:	180 თვე
1.6. მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი:	ეფექტური 50%

ძირითადი მოვალის მიმართ წარმოშობილი ვალდებულებისათვის, თავდები სრულად სოლიდარულად აგებს პასუხს კრედიტორის წინაშე და კისრულობს ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, სრულად დაუფაროს კრედიტორს კრედიტის ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო იმ მოცულობით, რაზედაც კრედიტორის გაუჩნდება მოთხოვნა. ამ განცხადების საფუძველზე კრედიტორი უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა თავდებობის ფარგლებში ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული კრედიტორის მიერ ან/და თუ მისი გადახდისუუნარობა აშკარაა. თავდები აცხადებს, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინება ვალის არსებობის მდგომარეობის შესახებ მობილურ ტელეფონზე, ან ელექტრონული ფოსტით, ითვლება ფორმალურად/შეტყობინებად. თავდებობის რაოდენობრივად განსაზღვრული თანხაა 1.3. პუნქტში მითითებული თანხა, და ასევე პროცენტი რაც დაწესებულია საკრედიტო ხელშეკრულებით, პირგასამტეხლოები, საკომისიოები, კრედიტორისთვის მიყენებული ზიანი და სასამართლო ხარჯები. თავდები პასუხს აგებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ კრედიტი ვადამდე იქნა გამოთხოვილი კრედიტორის მიერ და იგი არ დაფარულა. თავდებობა განხორციელებულია ძირითად მოვალესთან ურთიერთშეთანხმებით. თავდებობა ძალაშია გაცემის დღიდან და მოქმედებს ძირითადი კრედიტორის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. თავდები აცხადებს, რომ გაეცნო ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის და მისთვის ნათელია ხელშეკრულებებისა და ძირითადი მოვალის ვალდებულებები კრედიტორის მიმართ.

თავდები: **სახელი გვარი პირადი #** -----